

სავალუტო ანგარიშის დეტალური ბარათის სპეციფიკა

ვნახოთ, თუ როგორი შეუსაბამობა შეიძლება მიიღოთ მულტისავალუტო ოპერაციასა და ანგარიშის დეტალურ ბარათს შორის.

მაგალითისათვის შევასრულოთ შემდეგი ოპერაცია: კურსი 1 USD = 2 GEL, 1EUR = 3GEL

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	კურსი ფიქსირებულ	კურსი	დებიტი ექვივალენტი	კრედიტი ექვივალენტი
1	1220 უცხოური ვალუტა რეზ...		100.00	USD	<input checked="" type="checkbox"/>	2.0000		200.00
2	1230 უცხოური ვალუტა არარ...	80.00		EUR	<input type="checkbox"/>	3.0000	240.00	
3	7490 სხვა საერთო ხარჯი	-40.00		GEL	<input type="checkbox"/>	1.0000	-40.00	
							200.00	200.00

ვნახოთ ამ ოპერაციის შედეგი როგორ აისახება 1220-ის სადოლარე დეტალურ ბარათში

გად	დოკ დასც	ოპერაციის თარიღი	კორესპონდ ანგარიში	კორესპონდენტი ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	სადებიტო ნაშთი	საკრედიტო ნაშთი
			საწყისი					
		13/12/2018 00:00:00	1230	უცხოური ვალუტა არარ...		120.00		120.00
		13/12/2018 00:00:00	7490	სხვა საერთო ხარჯი	-20.00			100.00
			საშუალო			100.00		100.00

რადგან ამ ოპერაციაში გატარებები შესრულებულია სხვადასხვა ვალუტაში და ანგარიშის ბარათს ვნახულობთ დოლარში, შესაბამისად კორესპონდენტი ანგარიშის თანხებს სისტემა დაგვანახებს დოლარის ექვივალენტურ სიდიდეებში.

მიაქციეთ ყურადღება 1230 ანგარიშზე გატარება შესრულებული იყო 80 EUR, ხოლო ანგარიშის ბარათში სისტემა გადაიყვანს ევროს თანხას კროსკურსით დოლარში და ისე გიჩვენებთ $(80 * 3/2 = 120)$. ასევე 7490 ანგარიშსაც დავინახავთ სადოლარე ექვივალენტში $(-40/2 = -20)$. ნაშთებიც შესაბამისად გამოიყვანება დოლარის მიმართ.

ამდგვარი კაზუსი არ შეგხვდებათ ბარათის ნაერთი უწყისის ფორმირების დროს, რადგან ყველა თანხა ნაჩვენებია იქნება ექვივალენტურ სიდიდეებში.